

შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“



შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“
საარბიტრაჟო რეგლამენტი

2023 წლის 18 ოქტომბრის რედაქციით

თბილისი, 2023

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

მუხლი 2. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპები

მუხლი 3. თანასწორობა, შეჯიბრებითობა და დისპოზიციურობა

მუხლი 4. საარბიტრაჟო რეგლამენტის მოქმედება დროში

მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია

მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

მუხლი 6¹. ვადები

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

მუხლი 8. საარბიტრაჟო განხილვის წერილობითი და ზეპირი ფორმა

თავი II. არბიტრის დანიშვნა, აცილება და გადადგომა

მუხლი 9. არბიტრის კანდიდატურის შერჩევა

მუხლი 10. არბიტრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი

მუხლი 11. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე

მუხლი 12. არბიტრთა სია

მუხლი 13. არბიტრთა უფლებამოსილების ცნობა

მუხლი 14. არბიტრის აცილება

მუხლი 15. არბიტრის გადადგომა

თავი III. შეტყობინება და დაბარება

მუხლი 16. მხარეებისა და წარმომადგენლებისათვის უწყების ჩაბარება

მუხლი 17. უწყების ჩაუბარებლობის შედეგები

მუხლი 18. უწყების შინაარსი

მუხლი 19. უწყების გაგზავნა

მუხლი 20. შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

მუხლი 21. უწყების მიღებაზე უარის თქმა

მუხლი 22. მისამართის შეცვლა საარბიტრაჟო განხილვის დროს

მუხლი 23. უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

მუხლი 23¹. უწყების ჩაბარება ტექნიკური საშუალების გამოყენებით

მუხლი 24. საჯარო შეტყობინება

თავი IV. საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 25. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება, საარბიტრაჟო პრეტენზია (საარბიტრაჟო სარჩელი)

მუხლი 26. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა

მუხლი 27. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 28. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 29. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 30. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 31. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 32. შესაგებელი

მუხლი 33. კოპეტენციის კომპეტენცია

მუხლი 34. ზეპირი განხილვის ცალკეული საკითხები

მუხლი 35. მტკიცებულებები, მათი შეფასება და გამოკვლევა

მუხლი 36. ზეპირი განხილვა

თავი IV¹. მედიაცია საარბიტრაჟო განხილვაში

მუხლი 36¹. მედიაციის არსი საარბიტრაჟო განხილვაში

მუხლი 36². მედიაციის პროცედურა და ვადები საარბიტრაჟო განხილვაში თავი IV² დავის

განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

მუხლი 36³. დავის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

მუხლი 36⁴. საარბიტრაჟო განხილვის შეჩერება

თავი V. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მისი აღსრულება

მუხლი 37. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა და წესი

მუხლი 38. საარბიტრაჟო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

მუხლი 39. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება, ტექნიკური შეცდომების გასწორება

მუხლი 40. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება

თავი VI. საარბიტრაჟო განხილვის დასრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საარბიტრაჟო განხილვის დასრულების ცალკეული შემთხვევები

მუხლი 42. არბიტრაჟის უარი საარბიტრაჟო განხილვაზე

მუხლი 43. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა

მუხლი 44. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვება

მუხლი 45. საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობა

თავი VII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 46. საარბიტრაჟო რეგლამენტის ძალაში შესვლა

მუხლი 46¹. ეთიკა

მუხლი 47. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, წინამდებარე რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **საარბიტრაჟო ინსტიტუტი** - მუდმივმოქმედი არბიტრაჟი შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“.

ბ) **საარბიტრაჟო შეთანხმება** - წერილობითი შეთანხმება, რომლის თანახმადაც დავის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის ორგანიზება უნდა განახორციელოს საარბიტრაჟო ინსტიტუტმა.

გ) **საარბიტრაჟო განხილვის საგანი** - ნებისმიერი დავა, ან უთანხმოება მხარეთა შორის, რომელზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა საარბიტრაჟო შეთანხმებით მინდობილი აქვს საარბიტრაჟო ინსტიტუტს და რომლის არბიტრაჟის მიერ განხილვაც აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობასა და საჯარო წესრიგს.

დ) **რეგლამენტი** - „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ პარტნიორის გადაწყვეტილებით/პარტნიორთა კრების ოქმით დამტკიცებული რეგლამენტი, რომელიც გამოიყენება საარბიტრაჟო ინსტიტუტის სახელით დავის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის დროს. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

ე) **საარბიტრაჟო განხილვა** - „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზებული განხილვა, რომლის მიზანია საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული დავის საბოლოო გადაწყვეტა. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

ვ) **საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე** - შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახორციელებს კანონით, შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ წესდებით, საარბიტრაჟო შეთანხმებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

ზ) **არბიტრი** - ფიზიკური პირი, რომელიც კანონის, საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად უფლებამოსილია გადაწყვიტოს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

თ) **საარბიტრაჟო კოლეგია** - სამი ან მეტი არბიტრისაგან შემდგარი კოლეგია.

ი) **არბიტრაჟი** - საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე, დავის ერთპიროვნულად განმხილველი არბიტრი, რომელიც არ არის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე, ან საარბიტრაჟო კოლეგია, იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი იხილავს კონკრეტულ დავას ამ დებულების კონკრეტული ნორმის შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

კ) **საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე** - არბიტრი, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ამ რეგლამენტის შესაბამისად დანიშნულია საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარედ.

ლ) **მხარე** - საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე პირი ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

მ) **საარბიტრაჟო პრეტენზია** - „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გათალისწინებული საარბიტრაჟო სარჩელი/მხარის მიერ საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც მეორე მხარეს უნდა დაეკისროს პირველის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულება, ან მოქმედებისაგან თავის შეკავება. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

ნ) **საარბიტრაჟო მოსარჩელე** - საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმდგენი მხარე. *(ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 17.02.2016 წ.)*

ო) **საარბიტრაჟო მოპასუხე** - მხარე, რომელსაც წაეყენება საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული მოთხოვნა. *(ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 17.02.2016 წ.)*

პ) **საარბიტრაჟო მოსაკრებელი** - ფულადი თანხა, რომელსაც იხდის მხარე მის მიერ წარდგენილი საარბიტრაჟო პრეტენზიის განხილვისა და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

მუხლი 2. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის საქმიანობის პრინციპები *(შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.)*

2.1. საარბიტრაჟო ინსტიტუტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა მონაწილეც არის საქართველო.

2.2. თუ საარბიტრაჟო შეთანხმება მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილს წარმოადგენს, მაშინ არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ გამოიწვევს კანონის ძალით საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას.

2.3. თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგზე, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე არბიტრაჟი არ ჩაითვლება შემდგარად. თუ საარბიტრაჟო განხილვა დამთავრებული არ არის, მაშინ გარემოებების გათვალისწინებითა და დავის განმხილველ არბიტრებთან შეთანხმებით საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარეს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო განხილვაზე.

2.4. არბიტრაჟი თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას ხელმძღვანელობს კანონით, საარბიტრაჟო შეთანხმებითა და ამ რეგლამენტით. მის საქმიანობაში ჩარევა ან მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.5. მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, რომლის თანახმადაც დავის განხილვისა და გადაწყვეტის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საარბიტრაჟო ინსტიტუტს,

გამორიცხავს ამ დავის განხილვას ნებისმიერი სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულების მიერ.

2.6. სასამართლოს უფლება არ აქვს განიხილოს სასარჩელო განცხადება საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს წარმოადგენს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ითხოვენ საქმის განხილვას სასამართლოში ანდა თუ სასამართლო დადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია, ან შეუძლებელია მისი შესრულება.

2.7. სასამართლოში საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა არ იწვევს საარბიტრაჟო განხილვის ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას, თუ კანონით ან სასამართლო გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

2.8. თუ ამ რეგლამენტის რომელიმე დებულება, რომლიდანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იყო დაცული, და თუ მიუხედავად ამისა, მხარე აგრძელებს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვაში ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ, ანდა თუ ამისათვის გათვალისწინებულია ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წამოაყენებს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

2.9. საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, რომლის თანახმადაც დავის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს საარბიტრაჟო ინსტიტუტს, გულისხმობს საარბიტრაჟო განხილვისას ამ რეგლამენტის გამოყენებას.

2.10. საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული, მაგრამ ამ რეგლამენტის შესაბამისი ნორმებისაგან განსხვავებული მოწესრიგება არბიტრაჟისათვის სავალდებულოა მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი მოწესრიგების უფლება მხარეებს კანონით აქვთ მინიჭებული.

მუხლი 3. თანასწორობა, შეჭიბრებითობა და დისპოზიციურობა

3.1. საარბიტრაჟო განხილვა იწყება მხარის ან მხარეების მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით.

3.2. საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა შეიძლება მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას.

3.3. საარბიტრაჟო შეთანხმება ცალსახად და არაორაზროვნად უნდა განსაზღვრავდეს, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავას განიხილავს საარბიტრაჟო ინსტიტუტი.

3.4. დაუშვებელია ისეთი საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, რომლის მიხედვითაც მხარეთა შორის მომავალში წარმოშობილი ყველა დავა უნდა განიხილოს საარბიტრაჟო ინსტიტუტმა.

3.5. თუ საარბიტრაჟო ინსტიტუტს დავის განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით მიმართა მხარემ, რომელსაც მოპასუხესთან არ აქვს კანონითა და ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება, მაშინ საარბიტრაჟო ინსტიტუტის

თავმჯდომარეს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის აცნობოს მოპასუხეს საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოდგენის შესახებ, გაუგზავნოს საარბიტრაჟო შეთანხმების ხელმოსაწერად გამზადებული ტექსტი და შესთავაზოს მას დავის განხილვა საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ. თუ მოპასუხე დაეთანხმება შეთავაზებას და ხელს მოაწერს მისთვის გაგზავნილ საარბიტრაჟო შეთანხმებას, მაშინ საარბიტრაჟო ინსტიტუტი უფლებამოსილი ხდება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა ამ რეგლამენტის შესაბამისად.

3.6. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებები და მოთხოვნები სცილდება მხარეთა შორის არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, არბიტრაჟს უფლება აქვს შესთავაზოს მხარეებს ამ მოთხოვნებთან დაკავშირებით დამატებითი საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმება.

3.7. თუ 3.6. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეები ვერ მოილაპარაკებენ დამატებითი საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმებაზე, არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტს მხოლოდ არსებული საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში, რის შესახებაც განუმარტავს მხარეებს. არბიტრაჟის განმარტება შეიტანება საარბიტრაჟო განხილვის ოქმში.

3.8. მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის შესახებ.

3.9. მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვა და ამ განხილვის საგნად არსებული დავა მორიგებით დაამთავრონ. საარბიტრაჟო მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, ხოლო მოპასუხეს უფლება აქვს ცნოს საარბიტრაჟო პრეტენზია.

3.10. საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

3.11. საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით, საარბიტრაჟო შეთანხმებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ ნებისმიერ ღონისძიებას, ან ისეთ ღონისძიებას, რომელიც პირდაპირ არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 4. საარბიტრაჟო რეგლამენტის მოქმედება დროში

4.1. საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება რეგლამენტის ის რედაქცია, რომელიც ძალაშია არბიტრაჟის მიერ კონკრეტული მოქმედების შესრულებისას.

4.2. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია მათთვის მისაღები ფორმით მიაწოდოს მხარეებს საარბიტრაჟო რეგლამენტის ის რედაქცია, რომელიც ძალაშია საარბიტრაჟო განხილვის დაწყების, ან კონკრეტული მოქმედების შესრულებისას.

მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია

5.1. დავის განხილვისა და გადაწყვეტისას არბიტრაჟი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კანონმდებლობითა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლის მონაწილეც არის საქართველო.

5.2. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

5.3. თუ ამ რეგლამენტში არ არის ნორმა, რომელიც არეგულირებს საარბიტრაჟო განხილვის დროს კონკრეტული მოქმედებების შესრულებისას წარმოშობილ ურთიერთობებს, არბიტრაჟი იყენებს რეგლამენტის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობებს; ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საარბიტრაჟო განხილვის საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებს.

მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი

6.1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ მხარეთათვის შეთავაზებულ მოდელურ საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიეთითება საარბიტრაჟო ინსტიტუტის ფაქტობრივი მისამართი.

6.2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, არბიტრაჟს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას არბიტრებს შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მონმეების ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა დასათვალისწინებლად, ან ნებისმიერი სხვა მოქმედების განსახორციელებლად, რაც ხელს შეუწყობს დავის სწრაფად და სამართლიანად გადაწყვეტას.

მუხლი 6¹. ვადები (დამატებულია 18.01.2010 წ.)

6.1¹. ამ კანონით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

6.2¹. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. არბიტრაჟის მიერ საქმის ზეპირი მოსმენა და საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი კონფიდენციალურია, თუ მხარეთა შეთანხმებით, ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. არბიტრი და საარბიტრაჟო ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

7.2. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარეს უფლება აქვს მხოლოდ სამეცნიერო-პედაგოგიური მიზნებისათვის დაუშვას პირი საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან, იმ შემთხვევაში, თუ ასეთ დაშვებაზე არსებობს საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე მხარეების წერილობითი ნებართვა.

7.3. პირი, რომელიც დაიშვება საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან, ხელს აწერს დეკლარაციას და კისრულობს ვალდებულებას, რომ არ გაამჟღავნებს იმ დოკუმენტების შინაარსს, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა, ხოლო ნებისმიერ პუბლიკაციაში, ან საჯარო განხილვაში საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებით მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებს მხოლოდ იმ ფორმით, რომ შეუძლებელი იყოს როგორც საარბიტრაჟო განხილვის მონაწილეთა, ასევე მათი საქმიანობის საგნისა და დავის იდენტიფიცირება.

მუხლი 8. საარბიტრაჟო განხილვის წერილობითი და ზეპირი ფორმა

8.1. საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ზეპირად, თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

8.2. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ არბიტრაჟი დავას განიხილავს და გადაწყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე, მისთვის წერილობით წარდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე.

8.3. მხარეს შეუძლია მეორე მხარეს საარბიტრაჟო ინსტიტუტის მეშვეობით წერილობით შესთავაზოს საქმის განხილვა და გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის გარეშე. არბიტრაჟი საქმეს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუ მეორე მხარე ამაზე წერილობით განაცხადებს თანხმობას.

თავი II არბიტრის დანიშვნა, აცხილება და გადადგომა

მუხლი 9. არბიტრის კანდიდატურის შერჩევა

9.1. ამ რეგლამენტის შესაბამისად არბიტრად შეიძლება დაინიშნოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს.

9.2. არბიტრად არ შეიძლება დაინიშნოს:

ა) ქმედუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირი;

ბ) სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირი, ან საჯარო მოხელე;

გ) მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის.

დ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ახლო ნათესავი.

ე) პირი, რომელსაც არ გააჩნია მხარეთა მიერ შეთანხმებული პროფესია, ცოდნა ან გამოცდილება.

ვ) პირი, რომლის მიმართაც კონკრეტულ ფაქტებზე მტკიცებულებებზე და გარემოებებზე მითითებით შეიძლება დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმის გარმოებებიდან გამომდინარე მისგან მოსალოდნელი იქნება ერთერთი მხარის გავლენით გადაწყვეტილების გამოტანა.

მუხლი 10. არბიტრთა რაოდენობა და მათი დანიშვნის წესი (ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 28.10.2010 წ.)

10.1. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით, ან ამ შეთანხმების შესაბამისად დადებული სპეციალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ განსახილველ დავას ერთპიროვნულად იხილავს და წყვეტს საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე, ან მის მიერ დანიშნული ერთი არბიტრი. ბათილია ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც არბიტრების დანიშვნისას ერთ-ერთ მხარეს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში.

10.2. განსახილველი დავის სირთულის ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე უფლებამოსილია დაადგინოს დავის განხილვა სამი არბიტრის მიერ.

10.3. სამი არბიტრის მიერ დავის განხილვის დადგენილებით საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ დადგენილების მიღებიდან 10 (ათი) დღის ვადაში დანიშნონ თითო არბიტრი. თუ მხარეთა მიერ დანიშნული არბიტრები 10 დღიანი ვადის გასვლიდან მომდევნო 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ვერ შეთანხმებენ მესამე არბიტრის – საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატურას, მაშინ მესამე არბიტრს — საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს თავის დადგენილებით ნიშნავს თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე.

10.4. თუ საარბიტრაჟო კოლეგიის ფორმირება ვერ მოხდება 10.3 მუხლით დადგენილი წესითა და ვადაში, საქმის განმხილველ სამივე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე თავისი დადგენილებით. ამავე დადგენილებით განისაზღვრება საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარის ვინაობაც.

10.5. თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით დადგენილია დავის განხილვა სამი არბიტრის მიერ, მაგრამ არ არის დადგენილი საარბიტრაჟო კოლეგიის დაკომპლექტების წესი და ვადები, მაშინ საარბიტრაჟო კოლეგიის ფორმირება ხდება ამ მუხლით დადგენილი წესით.

10.6. მხარეს შეუძლია არბიტრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს. უფლების გაცემა უნდა დასტურდებოდეს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით/რწმუნებულებით.

10.7. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე რამდენიმე საარბიტრაჟო მოსარჩელე ანდა რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხე საარბიტრაჟო ინსტიტუტს დასანიშნად წარუდგენს არბიტრების ერთზე მეტ კანდიდატურას, საარბიტრაჟო ინსტიტუტი განუმარტავს მათ, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელეებმა/საარბიტრაჟო მოპასუხეებმა მათი რაოდენობის მიუხედავად უნდა დანიშნონ ერთი არბიტრი და განუსაზღვრავს მათ 10 (ათი) დღის ვადას ერთი არბიტრის კანდიდატურის შესათანხმებლად და წარმოსადგენად.

10.8. თუ მხარეები უშედეგოდ გაუშვებენ ამ რეგლამენტის 10.7. მუხლით ერთი არბიტრის კანდიდატურის შეთანხმებისათვის დადგენილ 10 დღიან ვადას, საქმის განმხილველ სამივე არბიტრს ნიშნავს საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე თავისი დადგენილებით. ამავე დადგენილებით განისაზღვრება საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარის ვინაობაც.

მუხლი 11. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე *(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წელი)*

11.1. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ რეგლამენტით;

11.2. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს განეკუთვნება:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის/სარჩელის განსახილველად მიღება; *(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წელი)*

ბ) საარბიტრაჟო პრეტენზიის/სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

გ) საარბიტრაჟო პრეტენზიის/სარჩელის განუხილველად დატოვება მის განსახილველად მიღებამდე.

მუხლი 12. არბიტრთა სია

12.1. საარბიტრაჟო ინსტიტუტი აქვეყნებს არბიტრთა სიას.

12.2. მხარეებს უფლება აქვთ მათ მიერ დასანიშნი არბიტრის კანდიდატურის შერჩევასას ისარგებლონ ამ სიით.

12.3. არბიტრთა სიის არსებობა არ ზღუდავს მხარეთა უფლებას არბიტრად დანიშნონ ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც არ არის შეყვანილი საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ შეთავაზებულ არბიტრთა სიაში, მაგრამ აკმაყოფილებს მოქმედი კანონმდებლობით, ამ რეგლამენტითა და მხარეთა შეთანხმებით არბიტრისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

მუხლი 13. არბიტრთა უფლებამოსილების ცნობა *(შეტანილია ცვლილებები და დამატებები 28.10.2010 წელი.)*

13.1. მხარის ან საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ არბიტრად დანიშნული პირი არბიტრად დანიშვნაზე თანხმობას აცხადებს წერილობითი ფორმით. არბიტრად დანიშვნაზე წერილობით თანხმობასთან ერთად პირი ხელს აწერს დეკლარაციას, რომლითაც ადასტურებს, რომ არ იმყოფება მხარესთან სახელშეკრულებო, სამსახურებრივ, ნათესაურ ან ისეთ დამოკიდებულებაში, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების გამოტანისას მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე. არბიტრად დასანიშნი პირი ასევე ვალდებულია დაადასტუროს, რომ მას წინასწარ არ გამოუთქვამს თავისი აზრი განსახილველი დავის გადაწყვეტის პერსპექტივებთან

დაკავშირებით. (ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 28.10.2010 წელი)

13.2. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია 10.3 მუხლით გათვალისწინებულ დადგენილებასთან ერთად მხარეს გაუგზავნოს არბიტრის განცხადებისა და დეკლარაციის ფორმები. (ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 28.10.2010 წელი)

13.3. მხარე, რომელიც საარბიტრაჟო ინსტიტუტს მიმართავს არბიტრის დანიშვნის შესახებ განცხადებით, ვალდებულია ამ განცხადებასთან ერთად 10.3 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში საარბიტრაჟო ინსტიტუტს წარუდგინოს არბიტრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი განცხადება არბიტრად დანიშვნაზე თანხმობის შესახებ, ასევე არბიტრის დეკლარაცია დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. არბიტრის დანიშვნის შესახებ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს არბიტრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის/მობილურის ნომერი, პროფესია და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ან ნებისმიერი მისამართი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია არბიტრთან დაკავშირება. (ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 28.10.2010 წელი)

13.4. არბიტრი უფლებამოსილია განიხილოს დავა საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ მისი უფლებამოსილების დადასტურების შემდეგ. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებული არ არის მისცეს განმარტება მხარეებს უფლებამოსილების დადასტურებაზე უარის ან თანხმობის შესახებ. არბიტრის უფლებამოსილება დადასტურებულად ითვლება, თუ საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე არ მიიღებს დადგენილებას დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ. (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წელი)

13.5. საარბიტრაჟო ინსტიტუტს არ აქვს უფლება დაადასტუროს არბიტრის უფლებამოსილება ამ უკანასკნელის მხრიდან წერილობითი თანხმობისა და ხელმოწერილი დეკლარაციის წარმოდგენამდე, მაგრამ უფლება აქვს უარი თქვას დადასტურებაზე მხარის მიერ არბიტრის კანდიდატურის დასახელებისთანავე.

13.6. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია მხარისათვის ამ რეგალმენტის 10.3 მუხლით გათვალისწინებული დადგენილების გაგზავნისას არბიტრის დანიშვნის შეთავაზებაში მხარეებს განუმარტოს არბიტრის კანდიდატურის დასახელების, უფლებამოსილების დადასტურების, არბიტრის განცხადებისა და დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებების შესახებ. ამ რეგალმენტის 10.3 მუხლით დადგენილ ვადაში ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვლება საარბიტრაჟო განხილვის გაჭიანურების მცდელობად და არბიტრის დანიშვნაზე უარის თქმად, რაც მხარეს უნდა განემარტოს წერილობით. (დამატებულია 28.10.2010 წელი)

13.7. თუ საარბიტრაჟო ინსტიტუტის, ან მხარის მიერ დანიშნული არბიტრი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს განცხადება და დეკლარაცია, არასაპატიო მიზეზით ერთხელ მაინც არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე განუმარტავს, მხარეს, რომ არბიტრის მხრიდან ადგილი აქვს საარბიტრაჟო განხილვის გაჭიანურებას და არბიტრის მოვალეობების უხემ დარღვევას, რის შემდეგაც გამოუცხადებლობის გამო არბიტრი გადაყენებულად ითვლება. არბიტრის გადაყენების დღესვე საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე ნიშნავს საქმის განხილველ ახალ არბიტრს და ავალებს ასეთი ფორმით ჩამოყალიბებულ საარბიტრაჟო კოლეგიას განაგრძოს საქმის განხილვა. (დამატებულია 28.10.2010 წელი)

მუხლი 14. არბიტრის აცილება (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

14.1. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუკი არსებობს ამ რეგლამენტის მე-9 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან სხვა გარემოებები, რომლებიც დასაბუთებულ ეჭვს იწვევენ არბიტრის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში, აგრეთვე, თუ არბიტრაჟის წევრის არ ფლობს საარბიტრაჟო განხილვის ენას, ან მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კვალიფიკაციას.

14.2. მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

14.3. პირი, რომელსაც სთავაზობენ არბიტრად დანიშვნას, ვალდებულია უარი თქვას დეკლარაციის ხელმოწერაზე და აცნობოს როგორც მხარეებს ასევე საარბიტრაჟო ინსტიტუტს იმ გარემოებათა არსებობა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებენ მის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას.

14.4. *(ამოღებულია 28.10.2010 წ.)*

14.5. მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. *(შეტანილია ცვლილება 28.10.2010 წ.)*

14.6. ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

14.7. თუ დავას იხილავს საარბიტრაჟო კოლეგია და არბიტრი, რომელსაც განუცხადეს აცილება, თვითონ არ ამბობს უარს არბიტრის უფლებამოსილებაზე, ან თუ მეორე მხარე არ არის თანახმა აცილებაზე, მაშინ აცილების საკითხს წყვეტენ საარბიტრაჟო კოლეგიაში შემავალი სხვა არბიტრები.

14.8. თუ აცილება მისცეს საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარეს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, ის აცილების საკითხს ერთპიროვნულად წყვეტს.

14.9. თუ აცილება მისცეს არბიტრს, რომელიც არ არის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე, მაგრამ ერთპიროვნულად იხილავს დავას, მაშინ მისი აცილების საკითხს წყვეტს საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე.

მუხლი 15. არბიტრის გადადგომა *(შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.)*

15.1. თავისი მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში არბიტრაჟის წევრი შეიძლება გადაყენებულ იქნეს საკუთარი ან ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ, ან მხარეთა შეთანხმებით.

15.2. არბიტრაჟს არბიტრის თხოვნის საფუძველზე გამოაქვს გადანყვეტილება მისი გადადგომის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საპატიო მიზეზი.

15.3. მხარეს არა აქვს უფლება, ერთპიროვნულად შეცვალოს თავის მიერ დანიშნული არბიტრი. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

15.4. მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნის დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადანყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადანყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

15.5. არბიტრის მიერ უარის თქმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან აცილების ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან მათ აღიარებას. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

15.6. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არბიტრი დანიშნება იმ წესების დაცვით, რომლებიც გამოყენებულ იქნა წინა არბიტრის დანიშვნისას. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

თავი III. შეტყობინება და დაბარება

მუხლი 16. მხარეებისა და წარმომადგენლებისათვის უწყების ჩაბარება

16.1. მხარეს, ან მის წარმომადგენელს უწყებით ეცნობება ზეპირი განხილვის, ან ცალკეული მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ რეგლამენტის 20.1. მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. უწყებით საარბიტრაჟო ინსტიტუტი იბარებს აგრეთვე მონმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

16.2. მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ ზეპირ განხილვაზე დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

16.3. მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მონმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ამ რეგლამენტის 18.1. მუხლით გათვალისწინებული საკითხები, რა დროსაც დგება აქტი, რომელიც ჩაიკვერება

საქმეში. აქტს ადგენს საარბიტრაჟო ინსტიტუტის შესაბამისი თანამშრომელი.

მუხლი 17. უწყების ჩაუბარებლობის შედეგები

17.1 უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან საარბიტრაჟო ინსტიტუტისათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

17.2 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ რეგლამენტის 19.2. მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში.

17.3. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ რეგლამენტის 19.2. მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, საარბიტრაჟო ინსტიტუტი ხელმძღვანელობს ამ რეგლამენტის 24-ე მუხლის დებულებებით.

17.4. *(ამოღებულია 17.02.2016)*

17.5. *(ამოღებულია 17.02.2016)*

17.6. *(ამოღებულია 17.02.2016)*

მუხლი 18. უწყების შინაარსი

18.1. უწყება უნდა შეიცავდეს:

ა) საარბიტრაჟო ინსტიტუტის სრულ სახელწოდებასა და ბუსტ მისამართს;

ბ) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ, ხოლო თუ უწყება ეგზავნება წარმომადგენელ – აგრეთვე მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც არის;

გ) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს, და მითითებას დავის საგნის შესახებ;

დ) საარბიტრაჟო ინსტიტუტში დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული.

ე) წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;

ვ) მითითებას იმის თაობაზე, რომ ადრესატის არყოფნისას უწყების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს უწყება ადრესატს;

ზ) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს საარბიტრაჟო

ინსტიტუტს გამოუცხადებლობის მიზეზები.

18.2. უწყებასთან ერთად საარბიტრაჟო ინსტიტუტი მოჰასუხეს უგზავნის საარბიტრაჟო პრეტენზიას და თანდართული დოკუმენტების ასლებს. უწყებასთან ერთად საარბიტრაჟო ინსტიტუტი საარბიტრაჟო მოსარჩელეს უგზავნის მოჰასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა სასამართლოში უწყების გაგზავნის დროისათვის. საარბიტრაჟო ინსტიტუტში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი შეიძლება გაეგზავნოს მხარეებს უწყების გაგზავნამდე, ასევე მას შემდეგ, რაც უწყება გაგზავნილია.

მუხლი 19. უწყების გაგზავნა

19.1 უწყება იგზავნება ამ რეგლამენტის 16.3. მუხლით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. საარბიტრაჟო ინსტიტუტი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება უწყება ჩაბარდეს საარბიტრაჟო ინსტიტუტის ოფისშიც.

19.2. თუ პირველად გაგზავნისას უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან საარბიტრაჟო ინსტიტუტისათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

19.3. ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი უწყების ჩაბარება დასტურდება:

ა) ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით;

ბ) ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში - შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მონოდებული დადასტურებით და ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით.

19.4. დეჰეშით დაბარების შემთხვევაში, სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება დეჰეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით.

19.5. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც საარბიტრაჟო ინსტიტუტს უნდა დაუბრუნდეს. ტექნიკური საშუალებების გამოყენებისას უწყების გადაცემის დრო აღინიშნება ამ რეგლამენტის 19.3 მუხლით გათვალისწინებულ აქტში.

19.6. უწყების დროულად ჩაბარების მიზნით მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კურიერის გადაადგილება და მისი მეშვეობით უწყების ჩაბარება. პირი, რომელსაც საარბიტრაჟო ინსტიტუტმა დაავალა უწყების მიტანა, ვალდებულია, საარბიტრაჟო ინსტიტუტს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი უწყების მიმღების ხელმოწერით.

19.7. ფოსტით ან კურიერის მეშვეობით ფიზიკური პირისათვის გაგზავნილი უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო ფიზიკური პირის სამუშაო ადგილზე, ასევე იურიდიული პირის ან სხვა გაერთიანებისათვის (ამხანაგობისათვის) გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – იურიდიული პირის ან სხვა გაერთიანების (ამხანაგობის) შესაბამის უფლებამოსილ

პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მუხლი 20. შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

20.1. თუ უწყების ჩამბარებელმა გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ რეგლამენტის 19.7 მუხლით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მონინალმდებელ მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

20.2. ადრესატის არყოფნის შემთხვევაში უწყების ჩამბარებელმა უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღნიშნოს, სად არის წასული ადრესატი და როდის ვარაუდობენ მის დაბრუნებას.

მუხლი 21. უწყების მიღებაზე უარის თქმა

21.1. თუ ადრესატმა ან ამ რეგლამენტის 20.1. მუხლით გათვალისწინებულმა სუბიექტმა, გარდა 21.2. მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა, უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო

აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება საარბიტრაჟო ინსტიტუტს. ასეთ შემთხვევაში უწყება ადრესატისათვის ჩაბარებულად ითვლება და საარბიტრაჟო ინსტიტუტს შეუძლია განიხილოს საქმე.

21.2. უწყების მიღებაზე ამ რეგლამენტის 20.1 მუხლით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად, თუ მას პირველად ეგზავნება უწყება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უწყება გაგზავნილი იქნა მოპასუხის მიერ პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე.

მუხლი 22. მისამართის შეცვლა საარბიტრაჟო განხილვის დროს

მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ საარბიტრაჟო ინსტიტუტს საარბიტრაჟო განხილვის მსვლელობისას თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება საარბიტრაჟო ინსტიტუტისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

მუხლი 23. უწყების ჩაბარება თანამონაწილისათვის

23.1. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობა მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს,

უწყება ჩაჰბარდება მას. იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

23.2. თუ საქმეში საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე 10-ზე მეტი პირია და არ არსებობს ამ 23.1 მუხლით გათვალისწინებული გარემოებები, უწყება ეგზავნება საარბიტრაჟო პრეტენზიაზე (შესაგებელზე, წერილობით ახსნა- განმარტებაზე და ა.შ.) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

მუხლი 23¹. უწყების ჩაბარება ტექნიკური საშუალების გამოყენებით

231.1. არბიტრაჟი უფლებამოსილია საარბიტრაჟო მოპასუხეს, მის მიმართ აღძრული საარბიტრაჟო სარჩელის არსებობის, საარბიტრაჟო განხილვის ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ აცნობოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. შეტყობინების ჩაწერა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

23.1.2. ტექნიკური საშუალებით დაბარების შემთხვევაში დგება შეტყობინების აქტი წერილობითი ფორმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის მდივანი. ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი არ არის ვალდებული დამატებით გაუგზავნოს უწყება ადრესატს.

23.1.3. საარბიტრაჟო მოსაპასუხის მიმართ აღძრული საარბიტრაჟო სარჩელის არსებობის ტექნიკური საშუალების გამოყენებით შეტყობინების შემთხვევაში, არბიტრაჟი სთავაზობს საარბიტრაჟო მოპასუხეს არბიტრაჟის ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე გამოცხადებას და საარბიტრაჟო სარჩელის და თანდართული მასალების მიღებას პირადად. საარბიტრაჟო მოპასუხე უფლებამოსილია უარი განაცხადოს მასალების არბიტრაჟის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით მიღებაზე, მხოლოდ პატივსაღები მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

23.1.4. ტექნიკური საშუალებით დაბარების შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია აცნობოს ადრესატს, რომ საუბარი იწერება. *(შეტანილია ცვლილება 17.02.2016.)*

მუხლი 24. საჯარო შეტყობინება *(შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.)*

24.1. თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს ჩაჰბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას. *(დამატებულია 18.01.2010 წ.)*

24.2. თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, საარბიტრაჟო ინსტიტუტი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

24.3. წინამდებარე რეგლამენტის 24.2 მუხლით გათვალისწინებული წესები ვრცელდება ასევე მხარისათვის საქმის მასალების, საარბიტრაჟო დადგენილების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების და სხვა ნებისმიერი იმ დოკუმენტის ჩაბარების შეუძლებლობის შემთხვევაში, რომლის ჩაბარებაც მხარისათვის სავალდებულოა ამ რეგლამენტის მიხედვით. (დამატებულია 18.01.2010 წ.)

24.4. მხარე უფლებამოსილია, არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე, თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

24.5. 24.2 და 24.3 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

24.6. თუ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოპასუხის მიმართ, რომლსაც ვერ ჩაბარდა გზავნილი და საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ეცნობა საჯარო პუბლიკაციის გზით, მოპასუხეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება ამავე გზით. (შეტანილია ცვლილება 17.02.2016)

თავი IV. საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 25. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება. საარბიტრაჟო პრეტენზია (საარბიტრაჟო სარჩელი) (შეტანილია ცვლილებები 18.10.2023 წ.)

25.1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია საარბიტრაჟო შეთანხმების მხარის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა. საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის განსახილველად მიღების დღიდან. (შეტანილია ცვლილება 18.10.2023წ.)

25.2. საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა შეიცავდეს:

ა) საარბიტრაჟო ინსტიტუტის სრულ სახელწოდებას.

ბ) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო ინსტიტუტი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა.

გ) საარბიტრაჟო მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მონმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელს, გვარს (სახელწოდებას), ძირითად მისამართს (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიულ მისამართს, სამუშაო ადგილის მისამართს, ტელეფონს, მათ შორის, მობილურს, ელექტრონულ ფოსტას, ფაქსს; საარბიტრაჟო პრეტენზიაში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები;

დ) დავის საგნის მოკლე აღწერას;

ე) საარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს;

ვ) საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნას.

25.3. საარბიტრაჟო პრეტენზიაში შეიძლება ასევე მიეთითოს:

- ა) სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- ბ) კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- გ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს;

25.4. საარბიტრაჟო პრეტენზიას უნდა ერთვოდეს:

- ა) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- ბ) თუ საარბიტრაჟო პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს, წამომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ რეგლამენტის მოთხოვნებს.
- გ) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე იურიდიული პირია, ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან, რომელიც არ უნდა იყოს გაცემული საარბიტრაჟო პრეტენზიის შემოტანამდე ორ კვირაზე ადრე.
- დ) საარბიტრაჟო შეთანხმების, ან იმ ხელშეკრულების ორიგინალი, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო შეთანხმებას.

25.5. საარბიტრაჟო პრეტენზია ხელმოწერილი უნდა იყოს მხარის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

25.6. თუ საარბიტრაჟო სარჩელი არ შეიცავს 25.2. მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს, მას თან არ ერთვის 25.4. მუხლში მითითებული დოკუმენტები ან/და ხელმოწერილი არ არის 25.5 მუხლით დადგენილი წესით. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ატყობინებს ამის შესახებ საარბიტრაჟო მოსარჩელეს და განუსაზღვრავს ვადას საარბიტრაჟო პრეტენზიის ამ რეგლამენტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს ორ დღეზე ნაკლები.

25.7. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეასრულებს 25.6 მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას, საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე უფლებამოსილია შესთავაზოს საარბიტრაჟო მოსარჩელეს საარბიტრაჟო პრეტენზიის გახმობა.

25.8. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის მიერ მითითებულ ვადაში არ გაიხმობს საარბიტრაჟო პრეტენზიას, საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე გამოიტანს დადგენილებას საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვებისა და შესაბამისი დოკუმენტების საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ.

25.9. ამ რეგლამენტის 25.7 მუხლით დადგენილი წესით პრეტენზიის გახმობის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 95%.

25.10. ამ რეგლამენტის 25.8. მუხლის თანახმად პრეტენზიის განუხილველად დატოვების შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 80 %.

25.11. საარბიტრაჟო პრეტენზიის მიმართ ამ რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება შეგვებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზეც.

25.12. შეგვებული საარბიტრაჟო პრეტენზიას არბიტრაჟი მიიღებს და განიხილავს მხოლოდ მაშინ, თუ შეგვებული პრეტენზიით გათვალისწინებული დავა თავსდება იმავე საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებში, რომელზეც უთითებს თავდაპირველი საარბიტრაჟო შეთანხმება.

25.13. თუ შეგვებული საარბიტრაჟო პრეტენზიის აღმძვრელი პირი (მოპასუხე) უთითებს არა თავდაპირველ პრეტენზიაში აღნიშნულ, არამედ სხვა საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომლის თანახმადაც შეგვებული პრეტენზიით გათვალისწინებული დავის განხილვა ასევე მინდობილი აქვს საარბიტრაჟო ინსტიტუტს, მაშინ არბიტრაჟი დაუშვებს შეგვებულ პრეტენზიას და ორივე საქმის ერთად განხილვას, თუ მიიჩნევს, რომ ამით მხარეთა შორის არსებული დავა უფრო სწრაფად, იაფად და ობიექტურად იქნება გადაწყვეტილი.

25.14. საარბიტრაჟო პრეტენზიაში და შეგვებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაში დასმულ საკითხებზე არბიტრაჟს გამოაქვს მხოლოდ საერთო გადაწყვეტილება.

25.15. თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან/და არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(დამატებულია 18.01.2010 წ.)*

25.16. სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(დამატებულია 18.01.2010 წ.)*

25.17. ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრის შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. *(დამატებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 26. საარბიტრაჟო სარჩელის უბრუნველყოფა *(ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 17.02.2016 წ.)*

26.1. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უბრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

26.2. მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი წერილობითი საარბიტრაჟო

გადაწყვეტილებით ავალეს მხარეს:

ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;

ბ) ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

გ) ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

26.3. მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის ამ რეგლამენტის 26.2 მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

ბ) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიაღვეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

26.4. ამ რეგლამენტის 26.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ ამ რეგლამენტის 26.3 მუხლის „ა“-„გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

26.5. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

26.6. მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

26.7. არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასწარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით.

26.8. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

26.9. ამ მუხლით განსაზღვრული საარბიტრაჟო დადგენილების აღსრულება მოხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 27. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 28. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 29. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 30. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 31. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

მუხლი 32. შესაგებელი *(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)*

32.1. საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზია და მასზე დართული მასალები დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს მოპასუხეს და განუსაზღვროს ვადა თავის პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენისათვის, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები.

32.2. საარბიტრაჟო შესაგებელში მოპასუხემ უნდა მიუთითოს საარბიტრაჟო ინსტიტუტის სრული დასახელება და აღნიშნოს, ცნობს თუ არა საარბიტრაჟო პრეტენზიას. თუ მოპასუხე საარბიტრაჟო პრეტენზიას ნაწილობრივ ცნობს, შესაგებელში კონკრეტულად უნდა აღინიშნოს, საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნებიდან რომელს ეთანხმება მოპასუხე და რომელს --არა. მოპასუხეს უფლება აქვს შესაგებელში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად არბიტრაჟს წარუდგინოს შესაბამისი მტკიცებულებები და ისარგებლოს ყველა იმ შესაძლებლობით, რომელიც ამ რეგლამენტით მინიჭებული აქვს მხარეს.

32.3. შესაგებელი ხელმოწერილი უნდა იქნეს 25.5. მუხლით დადგენილი წესით. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

32.4. თუ მოპასუხის შესაგებელს ხელს აწერს მოპასუხის წარმომადგენელი, ან/და მოპასუხე

იურიდიული პირია, შესაბამისად გამოიყენება 25.4. მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

32.5. თუ შესაგებელი არ აკმაყოფილებს 32.2. 32.3. და 32.4. მუხლების მოთხოვნებს, საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარე ატყობინებს ამის შესახებ მოპასუხეს და აძლევს წინადადებას აღმოფხვრას შესაგებლის რეგლამენტთან შეუსაბამობა ზეპირ მოსმენამდე, ან თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვაზე ზეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ საარბიტრაჟო ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

32.6. თუ 32.5. მუხლში მითითებული გაფრთხილების მიუხედავად მოპასუხე ხელს არ მოაწერს შესაგებელს, ან არ წარმოადგენს საარბიტრაჟო განხილვაში მანანაილებობაზე უფლებამოსილი პირების მიერ წარმოდგენილ რწმუნებლებას/მინდობილობას ან სხვა დოკუმენტს, არბიტრაჟი წერილობით განუმარტავს მხარეს/ წარმომადგენელს, რომ საქმის განხილვა გაგრძელდება და საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, შესაგებლისა და მასზე თანდართული დოკუმენტების გათვალისწინების გარეშე. *(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)*

მუხლი 33. კომპეტენციის კომპეტენცია *(ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 18.01.2010 წ.)*

33.1. არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

33.2. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

33.3. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ უნდა გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

33.4. განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის 33.3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

33.5. თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

მუხლი 34. ზეპირი განხილვის ცალკეული საკითხები *(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)*

34.1 საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია წერილობით აცნობოს მხარეს არბიტრაჟის ყოველი

სხდომის ჩატარების დრო და ადგილი სულ ცოტა 2 (ორი) დღით ადრე შესაბამისი სხდომის გამართვამდე, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

34.2. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია მიღებიდან 2 დღის ვადაში მხარეს გაუგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

34.3. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობის საფუძველზე.

34.4. (ამოღებულია 28.10.2010 წ.)

34.5. (ამოღებულია 28.10.2010 წ.)

34.6. საარბიტრაჟო განხილვაში მხარის წარმომადგენლად შეიძლება მონაწილეობდეს ნებისმიერი ქმედუნარიანი პირი. მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. ფიზიკური პირის წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება სანოტარო წესით დამონშებული რწმუნებულებით. იურიდიული პირის წარმომადგენლის რწმუნებულებას ხელს აწერს ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. თუ იურიდიულ პირს აქვს ბეჭედი, მაშინ ხელმოწერასთან ერთად ბეჭედიც სავალდებულოა.

34.7. არბიტრაჟის მიერ ზეპირი მოსმენით საქმის განხილვისას საარბიტრაჟო განხილვის ოქმის შედგენა სავალდებულოა, ოქმს ხელს აწერს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე ან საქმის ერთპიროვნულად განმხილველი არბიტრი არბიტრაჟის მდივანთან ერთად.

34.8. საარბიტრაჟო განხილვის ოქმი მზადდება როგორც წესი ნაბეჭდი ფორმით. ზეპირი მოსმენის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება განხორციელდეს საარბიტრაჟო განხილვის აუდიო ჩანერა, რის საფუძველზეც არბიტრაჟის მდივანი ადგენს ოქმს. საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე ან არბიტრი ვალდებულია განუმარტოს მხარეებს რომ საარბიტრაჟო განხილვის შედგენის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება აუდიო ჩანერა. აუდიო ჩანერა დაუშვებელია, თუ ერთერთი მხარე ამის წინააღმდეგია.

34.9. საარბიტრაჟო განხილვის ოქმი უნდა შეიცავდეს მითითებას საქმის განმხილველ არბიტრაჟზე, მხარეებზე და განხილვაში მონაწილე სხვა პირებზე, ასევე საარბიტრაჟო განხილვის თითოეული მონაწილის მიერ საქმისთან დაკავშირებით ზეპირი ფორმით გამოხატულ მოსაზრებებს დასკვნებსა და შეფასებებს.

34.10. ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება წამოიჭრას საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას პროცედურასთან დაკავშირებით წყდება საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარის/ საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის/საქმის ერთპიროვნულად განმხილველი არბიტრის მიერ, იმის მიხედვით თუ ვინ იხილავს კონკრეტულ საქმეს.

მუხლი 35. მტკიცებულებები, მათი შეფასება და გამოკვლევა (შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.)

35.1 თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

35.2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

35.3. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. არც ერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის, ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრთა შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

35.4. არბიტრაჟს შეუძლია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და მისცეს წინადადება მხარეს წარმოადგინოს მტკიცებულება.

35.5. მხარე, რომელიც შუამდგომლობს მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით, ვალდებულია უზრუნველყოს მოწმის გამოცხადება ზეპირ მოსმენაზე. თუ მხარე ვერ უზრუნველყოფს მოწმის გამოცხადებას, არბიტრაჟს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის ისარგებლოს მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით “არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

35.6. მხარეს უფლება აქვს მის მიერ მითითებულ გარემოებათა დასადასტურებლად წარმოადგინოს ექსპერტის დასკვნა.

35.7. არბიტრაჟი ვალდებულია დანიშნოს ექსპერტი, თუ მხარეები ამას მოითხოვენ. არბიტრაჟი უფლებამოსილია შეაჩეროს საარბიტრაჟო განხილვა მხარეთა ერთობლივი მოთხოვნით დანიშნული ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენამდე.

35.8. თუ ექსპერტიზის შესახებ მხოლოდ ერთი მხარე შუამდგომლობს, არბიტრაჟი არ აკმაყოფილებს მის შუამდგომლობას, თუ მიიჩნევს, რომ მხარეს თვითონაც შეეძლო ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა მის მიერ პრეტენზიის, ან შესაგებლის შემოტანისას.

35.9. თუ გარემოება, რომელზე მითითებითაც ერთერთი მხარე შუამდგომლობს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, წარმოიშვა მის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის, ან შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ, მაშინ არბიტრაჟი მას უნიშნავს ვადას ექსპერტიზის დასკვნის წარმოსადგენად. არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში ექსპერტის დასკვნის წარუდგენლობა არ დააბრკოლებს საარბიტრაჟო განხილვას. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი საქმეს გადაწყვეტს საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

35.10. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივითაც დანიშნოს ექსპერტიზა. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი აჩერებს საარბიტრაჟო განხილვას ექსპერტის დასკვნის მიღებამდე.

35.11. მხარე ვალდებულია არბიტრაჟის შესაბამისი გადაწყვეტილების არსებობისას წარუდგინოს ექსპერტს საქმისთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული ინფორმაცია, ნივთი, ან დოკუმენტი.

35.12. ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო არბიტრაჟისათვის. არბიტრაჟი შინაგანი რწმენის საფუძველზე აფასებს მას, როგორც ერთერთ მტკიცებულებას.

35.13. მხარეს უფლება აქვს შესთავაზოს არბიტრაჟს საქმის გარემოებების გარკვევის მიზნით საარბიტრაჟო განხილვაში სპეციალისტის მონაწილეობა. სპეციალისტის მონაწილეობის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე უზრუნველყოფს ზეპირ მოსმენაზე სპეციალისტის გამოცხადებას. სპეციალისტის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საარბიტრაჟო განხილვას. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ თავისი ინიციატივითაც მოიწვიოს სპეციალისტი.

35.14. როგორც მხარის, ასევე არბიტრაჟის ინიციატივით მონაწილე სპეციალისტი ვალდებულია ხელი მოაწეროს დეკლარაციას იმ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის შედეგად. აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ექსპერტზეც.

35.15. ამ რეგლამენტის 35.14. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ექსპერტი და სპეციალისტი ვალდებული იქნებიან აუნაზღაურონ მხარეებს ზიანი, რომელიც დადგა საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის გახმაურების შედეგად.

35.16. მტკიცებულებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას არბიტრაჟს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის ისარგებლოს სასამართლოს დახმარებით „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. *(შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)*

მუხლი 36. ზეპირი განხილვა *(შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.)*

36.1. თუ მოპასუხის მიერ წარმოდგენილია შესაგებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამ რეგლამენტის მოთხოვნებს, შესაგებელი და უწყება ზეპირი მოსმენის გამართვის დროისა და ადგილის მითითებით დაუყოვნებლივ ეგზავნება საარბიტრაჟო მოსარჩელეს. შესაბამისი უწყება ეგზავნება აგრეთვე მოპასუხესა და იმ პირებს, რომელთა გამოცხადებასაც არბიტრაჟი მიზანშეწონილად ჩათვლის. *(ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით 17.02.2016)*

36.2. *(ამოღებულია 18.01.2010 წ.)*

36.3. ზეპირი მოსმენის დროს მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარე. თუ კანონით, საარბიტრაჟო შეთანხმებით ან რეგლამენტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ერთი არბიტრის მიერ დავის განხილვისას იგულისხმება, რომ არბიტრი აღჭურვილია ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც აქვს საარბიტრაჟო კოლეგიის თავმჯდომარეს.

36.4. 36.3. მუხლში მითითებული არბიტრი ხსნის და დასრულებულად აცხადებს ზეპირ მოსმენას, სიტყვას აძლევს მხარეებს, რამდენიმე პრეტენდენტს და მოპასუხის, ასევე მონაწილეთა ექსპერტებისა და სპეციალისტების დასწრების შემთხვევაში განსაზღვრავს მათი გამოსვლების რიგითობას, უზრუნველყოფს საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას, მხარეებს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას გამოხატონ თავიანთი აზრი საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულების ან გარემოების შესახებ. თითოეული მხარის მოსაზრება, შეფასება, თუ განმარტება შეიტანება საარბიტრაჟო განხილვის ოქმში. თუ

შეთანხმებულია საარბიტრაჟო განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, არბიტრაჟი გადაწყვეტილებას გამოიტანს საარბიტრაჟო პრეტენზიის, შესაგებლისა და მხარეთა წერილობით ახსნა-განმარტებების, ასევე საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით.

36.5. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ თითოეულ მხარეს უფლება აქვს არბიტრაჟს მიმართოს შემაჯამებელი სიტყვით. შემაჯამებელი სიტყვით ბოლოს გამოდის მოპასუხე.

36.6. მხარეთა შემაჯამებელი სიტყვის დასრულების შემდეგ არბიტრაჟი საარბიტრაჟო განხილვას დასრულებულად აცხადებს და გამოაქვს გადაწყვეტილება.

თავი IV¹. მედიაცია საარბიტრაჟო განხილვაში (დამატებულია 01.07.2016)

მუხლი 36¹. მედიაციის არსი საარბიტრაჟო განხილვაში

36¹.1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ არბიტრაჟის მიერ დავის არსებითად განხილვამდე მიმართავენ მედიაციას ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. ამ რეგლამენტის მიზნებისათვის მედიაცია გულისხმობს საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან არბიტრაჟის მიერ საქმის არსებით განხილვამდე, საარბიტრაჟო დავის შეთანხმებით დასრულების მიზნით მხარეთა შორის მოლაპარაკების წარმოებას მედიატორის (პროფესიონალი მომლაპარაკებლის) დახმარებით.

მუხლი 36². მედიაციის პროცედურა და ვადები საარბიტრაჟო განხილვაში

36².1. ამ რეგლამენტის 36¹.1. მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, საქმის განხილველი არბიტრი, საარბიტრაჟო სარჩელის განსახილველად მიღების შესახებ დადგენილებით ნიშნავს მედიატორს და ეს დადგენილება ეგზავნება მხარეებს საარბიტრაჟო საქმის მასალებთან ერთად.

36².2. მედიატორი საარბიტრაჟო შესაგებლის წარმოდგენის ვადის გასვლიდან 2 სამუშაო დღეში ნიშნავს სამედიაციო შეხვედრის თარიღს, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობებათ მხარეებს.

36².3. მედიაცია დაწყებულად ითვლება მხარეების მიერ სამედიაციო შეხვედრის თარიღის შესახებ ინფორმაციის მიღების დღიდან. მხარეებს სამედიაციო შეთანხმების მისაღწევად აქვთ 15 დღის ვადა.

36².4. მედიაციის პროცესი წარიმართება, კონფიდენციალურობის, მხარეთა თანასწორობის, მხარეთა მიერ მორიგებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების ავტონომიისა და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პრინციპების დაცვით.

36².5. მედიაციის შედეგად შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, მორიგების აქტს ამტკიცებს საქმის განხილველი არბიტრი არბიტრაჟის შესახებ კანონის --- მუხლით დადგენილი წესის დაცვით.

36².6. თუ ამ რეგლამენტის 36².3. პუნქტით დადგენილ ვადაში, მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას,

მედიატორი წერილობით ანუ ინფორმაციას საქმის განმხილველ არბიტრს აღნიშნულის შესახებ, რაც არბიტრისათვის წარმოადგენს საარბიტრაჟო საქმის არსებითი განხილვის დაწყების საფუძველს. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი ღებულობს დადგენილებას, რომლის შესაბამისადაც საარბიტრაჟო მოსარჩელეს განესაზღვრება ვადა საარბიტრაჟო მოსაკრებლის სრულად შესავსებად ამ რეგლამენტის დანართი N1-ის 2.1 მუხლით განსაზღვრულ ოდენობამდე.

36².7. მხარის მიერ მედიაციამდე უარის შემთხვევაში, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას ამ რეგლამენტით საარბიტრაჟო საქმის განხილვისათვის დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი ღებულობს დადგენილებას, რომლის შესაბამისადაც საარბიტრაჟო მოსარჩელეს განესაზღვრება ვადა საარბიტრაჟო მოსაკრებლის სრულად შესავსებად ამ რეგლამენტის დანართი N1-ის 2.1 მუხლით განსაზღვრულ ოდენობამდე.

თავი IV² დავის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე (დამატებულია 20.05.2016 წ.)

მუხლი 36³. დავის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე

36³.1. ზეპირი მოსმენის გარეშე არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა ხორციელდება და გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეები აღნიშნულზე სპეციალურად შეთანხმდებიან.

36³.2. საარბიტრაჟო სარჩელის განსახილველად მიღებიდან 3 დღის ვადაში საარბიტრაჟო მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად და განესაზღვრება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 10 დღის ვადა საარბიტრაჟო შესავსების და მტკიცებულებების წარმოსადგენად.

36³.3 საარბიტრაჟო ინსტიტუტი საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ წარმოდგენილ შესავსებელს და თანდართული მტკიცებულებებს მათი წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის საარბიტრაჟო მოსარჩელეს და სთავაზობს მას შესავსებელზე პასუხის წარმოდგენას 5 სამუშაო დღის ვადაში.

36³.4. არბიტრაჟი საქმეს განხილავს და იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას შესავსების წარმოდგენიდან/შესავსების წარმოდგენის ვადის გასვლიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში.

36³.5. თუ საარბიტრაჟო მოპასუხეს არ ჩაბარდა გზავნილი და ჩაუბარებლობის მიზეზად მითითებული არასრული მისამართი ან მოპასუხე აღარ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, არბიტრაჟი განესაზღვრავს საარბიტრაჟო მოსარჩელეს ვადას (არაუმეტეს 3 დღისა) მოპასუხის ალტერნატიული მიმსამართის წარმოსადგენად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის ცნობილი არ არის საარბიტრაჟო მოპასუხის ალტერნატიული მისამართი, ან ალტერნატიულ მისამართზეც ვერ ხერხდება საფოსტო გზავნილის ჩაბარება, არბიტრაჟი იმავე მისამართზე აგზავნის საარბიტრაჟო სარჩელს კიდევ ერთხელ და პრაქტიკულად აკეთებს საჯარო შეტყობინებას. შეტყობინების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ, თუ არ იქნება წარმოდგენილი საარბიტრაჟო შესავსებელი, არბიტრაჟი იღებს მოტივირებულ გადაწყვეტილებას შეტყობინების ვადის გასვლიდან 10 დღის ვადაში.

თავი IV³ საარბიტრაჟო განხილვის შეჩერება (დამატებულია 18.10.2023 წ.)

მუხლი 36⁴. საარბიტრაჟო განხილვის შეჩერება (დამატებულია 18.10.2023 წ.)

36⁴.1. არბიტრაჟი უფლებამოსილია საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეჩერების შესახებ;

36⁴.2. საარბიტრაჟო განხილვის მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ არბიტრაჟს იმ გარემოებების ცვლილების შესახებ, რაც გახდა საარბიტრაჟო განხილვის შეჩერების საფუძველი;

36⁴.3. არბიტრაჟი, თავისი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით, განახლებს საარბიტრაჟო განხილვას იმ საფუძვლის აღმოფხვრისთანავე, რაც საქმის განხილვის შეჩერების საფუძველი გახდა;

36⁴.4. დრო, რომლის განმავლობაშიც საარბიტრაჟო განხილვა შეჩერებულია, საარბიტრაჟო განხილვის ვადაში არ ჩაითვლება. საარბიტრაჟო განხილვის განახლების შემდგომ, საარბიტრაჟო განხილვის ვადის ათვლა გაგრძელდება საარბიტრაჟო განხილვის შეჩერების მომენტიდან. იმ შემთხვევაში თუ, განხილვის განახლების შემდგომ დარჩენილი საარბიტრაჟო განხილვის ვადა არ იქნება საკმარისი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოსატანად, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვის ვადა გონივრული ვადით.

თავი V. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება და მისი აღსრულება

მუხლი 37. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადა და წესი (შეტანილია ცვლილებები 18.10.2023 წ.)

37.1. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის სპეციალურ ვადას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

37.1¹. არბიტრაჟი უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში, საარბიტრაჟო განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შეთანხმებით გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვის მხარეთა მიერ შეთანხმებული ვადა; (შეტანილია ცვლილება 18.10.2023 წ.)

37.2. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ იქნება გამოტანილი ან/და არ გაგრძელდება საარბიტრაჟო განხილვის ვადა, საქმის განმხილველი არბიტრაჟის შემადგენლობა უნდა გადადგეს. (შეტანილია ცვლილება 18.10.2023 წ.)

37.3. თუ მხარეებს არ აქვთ შეთანხმებული გადაწყვეტილების გამოტანის ვადის გაგრძელება, არბიტრაჟის შემადგენლობის გადადგომის შემდეგ ახალი შემადგენლობის ფორმირება ხდება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით. თუ განმეორებით ფორმირებული არბიტრაჟი ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას ფორმირების დასრულების მომენტიდან 3 (სამი) თვის ვადაში საარბიტრაჟო

შეთანხმება ჩაითვლება გაუქმებულად. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებული არ არის განიხილოს ეს დავა, თუ მხარეები დადებენ ახალ საარბიტრაჟო შეთანხმებას და მაინც მოითხოვენ არბიტრაჟის მიერ დავის განხილვას. (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

37.4. არბიტრაჟს, რომელშიც ერთზე მეტი წევრია, გადანყვეტილებები გამოაქვს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა უმრავლესობით.

37.5. არბიტრს არ აქვს გადანყვეტილების გამოტანისას თავის შეკავების უფლება.

37.6. საარბიტრაჟო გადანყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მასში უნდა აღინიშნოს:

ა) გადანყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა;

ბ) საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა;

გ) მხარეები და საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილე სხვა პირები;

დ) დავის საგანი;

ე) სამოტივაციო ნაწილი, მასში გადმოცემული მოსაზრებებით, რომელთა საფუძველზეც არბიტრაჟმა გამოიტანა გადანყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება პირდაპირ ითვალისწინებს ასეთი სამოტივაციო ნაწილის არარსებობას;

ვ) არბიტრაჟის დადგენილება;

ზ) *ამოღებულია 18.01.2010 წ.*

37.7. არბიტრაჟის გადანყვეტილებას ხელს აწერს ყველა არბიტრი. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს საარბიტრაჟო გადანყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს გადანყვეტილებაში.

37.8. *ამოღებულია 28.10.2010 წ.*

37.9. საარბიტრაჟო გადანყვეტილების თითო პირი უნდა გადაეცეს თითოეულ მხარეს. (შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)

37.10. საარბიტრაჟო გადანყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. საარბიტრაჟო გადანყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

მუხლი 38. საარბიტრაჟო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის

საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ გადანყვეტილებას იღებს არბიტრაჟი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

მუხლი 39. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება, ტექნიკური შეცდომების გასწორება
(შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

39.1 მხარეს უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შინაარსის დაზუსტების მიზნით მოსთხოვოს არბიტრაჟს გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის განმარტება. არბიტრაჟი განმარტების მოთხოვნის მიღების დღიდან 30 დღის ვადაში იძლევა განმარტებას, ან გამოაქვს დადგენილება განმარტებაზე უარის შესახებ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების განმარტება წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.

39.2. მხარეს უფლება აქვს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში დაშვებული აშკარა არითმეტიკული შეცდომის, აგრეთვე ხელნაწერი ან ბეჭდვის დროს დაშვებული შეცდომის გასწორება. თუ არბიტრაჟი შესწორებას მიზანშეწონილად ჩათვლის, მხარეებს ჩაბარდება გადაწყვეტილების შესწორებული ვარიანტი. შესწორებაზე უარის თქმა არბიტრაჟმა სათანადოდ უნდა დაასაბუთოს. (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

39.3. არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედებები (დამატებულია 17.02.2016)

მუხლი 40. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება (ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით 18.01.2010 წ.)

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თავი VI. საარბიტრაჟო განხილვის დასრულება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საარბიტრაჟო განხილვის დასრულების ცალკეული შემთხვევები

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საარბიტრაჟო განხილვა დასრულდება, თუ:

- ა) ამ რეგლამენტის შესაბამისად არბიტრაჟი უარს იტყვის საარბიტრაჟო განხილვაზე.
- ბ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საარბიტრაჟო პროცესშია განუხილველად იქნება დატოვებული.
- გ) ამ რეგლამენტის შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება.
- დ) საარბიტრაჟო მოსარჩელე ამ რეგლამენტით დადგენილი წესით გაიხმობს საარბიტრაჟო პროცესშიას.

მუხლი 42. არბიტრაჟის უარი საარბიტრაჟო განხილვაზე

42.1. არბიტრაჟი უარს იტყვის საარბიტრაჟო განხილვაზე თუ:

ა) დავა, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს არბიტრაჟმა, არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.

ბ) საქმესთან დაკავშირებული გარემოებები არბიტრაჟს აძლევს საფუძველს, რომ მოცემული საქმის განხილვა ურყოფითად იმოქმედებს საარბიტრაჟო ინსტიტუტისა და საქმის განხილველი არბიტრების რეპუტაციაზე. (მაგალითად, თუ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომელიც დასრულებული არ არის და ეხება საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთა საქმიანობას და ა.შ.)

42.2. არბიტრაჟს უფლება აქვს ამ რეგლამენტის 42.1. მუხლის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად უარი თქვას საარბიტრაჟო განხილვაზე ამ განხილვის ნებისმიერ სტადიაზე. არბიტრაჟი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი უარი.

42.3. ამ რეგლამენტის 42.1. მუხლის “ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს სრულად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი, მიუხედავად იმისა, თუ განხილვის რა ეტაპზე დაფიქსირდა უარი საარბიტრაჟო განხილვაზე.

42.4. ამ რეგლამენტის 42.1. მუხლის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო განხილვაზე უარის თქმის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 90%.

მუხლი 43. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა (შეტანილია ცვლილება 18.10.2023 წ.)

43.1. არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით, ან თავისი ინიციატივით არ მიიღებს საარბიტრაჟო პრეტენზიას განსახილველად, ან შეწყვეტს საარბიტრაჟო განხილვას თუ:

ა) არ არსებობს დავის საგანი;

ბ) არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმავე საგანზე, იმავე მხარეებს შორის და იმავე საფუძველით;

გ) საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი. (შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.)

დ) მხარეები მორიგდნენ;

ე) მხარე ფიზიკური პირის გარდაცვალებისას, ან იურიდიული პირის ლიკვიდაციისას სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია;

ვ) საარბიტრაჟო რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

43^{1.1.} 43.1. მუხლის “გ” და “დ” პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არბიტრაჟი ვალდებულია დააბრუნოს საარბიტრაჟო მოსაკრებელი ამ მუხლით დადგენილი ოდენობით. თუ მხარეები მორიგედებიან პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარებამდე, არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო მოსარჩელეს დაუბრუნოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%, პირველი საარბიტრაჟო სხდომის ჩატარების შემდგომ საარბიტრაჟო მოსაკრებლის 25%. (შეტანილია ცვლილება 18.10.2023 წ.)

43^{1.2.} 43.1. მუხლის “ა”, “ბ”, “ე”, და “ვ” პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში არბიტრაჟი ვალდებულია დააბრუნოს საარბიტრაჟო მოსაკრებლის 70%-ი. (შეტანილია ცვლილება 17.02.2016 წ.)

43.2. თუ საარბიტრაჟო განხილვა წყდება 43.1. მუხლის “დ” ქვეპუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს მორიგებას, თუ მორიგების პირობები კანონს არ ეწინააღმდეგება. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდება მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. (შეტანილია ცვლილებები 28.10.2010 წ.)

43.3. არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადებით მიმართვიდან 3 დღის ვადაში.

43.4. (ამოღებულია 28.10.2010 წ.)

43.5. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შემდეგ იმავე საქმეზე და იმავე საფუძვლით დავის გადაწყვეტის მოთხოვნით საარბიტრაჟო ინსტიტუტისადმი მიმართვა არ დაიშვება. ამ შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია საარბიტრაჟო პრეტენზია არ მიიღოს და მხარეს დაუბრუნოს მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 90%.

მუხლი 44. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვება

44.1. არბიტრაჟი მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, საარბიტრაჟო პრეტენზიას განუხილველად დატოვებს, თუ:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზია შეიტანა ქმედუნარო პირმა.

ბ) საარბიტრაჟო პრეტენზია დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლებამოსილება;

გ) საარბიტრაჟო ინსტიტუტის, სხვა კერძო არბიტრაჟის ან სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

დ) დაკმაყოფილდა საარბიტრაჟო მოსარჩელის შუამდგომლობა საარბიტრაჟო პრეტენზიისა და თანდართული დოკუმენტების გამოხმობის შესახებ.

ე) საარბიტრაჟო მოსარჩელემ არ გადაიხადა საარბიტრაჟო მოსაკრებელი ამ რეგლამენტის 362.6

ან 362.7 მუხლებით განსაზღვრული წესით.

44.2. თუ ზეპირ მოსმენაზე არ გამოცხადდა ამ რეგლამენტით დადგენილი წესით მონვეული არც ერთი მხარე, არბიტრაჟი გადადებს საქმის განხილვას, კიდევ ერთხელ მოინვეს მხარეებს და გაათრთხილებს გამოუცხადებლობის შედეგების შესახებ. თუ გათრთხილებისა და განმეორებით მონვევის მიუხედავად არც ერთი მხარე არ გამოცხადდება, არბიტრაჟი საარბიტრაჟო პრეტენზიას განუხილველად დატოვებს. ამ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%.

44.2¹. საარბიტრაჟო სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ამ რეგლამენტის 44.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საარბიტრაჟო მოსარჩელეს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი.

44.3. საარბიტრაჟო პრეტენზიის განუხილველად დატოვება არ ართმევს საარბიტრაჟო მოსარჩელეს უფლებას კვლავ წარადგინოს საარბიტრაჟო პრეტენზია განუხილველად დატოვების საფუძვლების აღმოფხვრის პირობით.

მუხლი 45. საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობა

45.1. საარბიტრაჟო მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს საარბიტრაჟო პრეტენზია ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობა დაიშვება მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე წერილობით არ დაეთანხმება საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობას, მაშინ არბიტრაჟი აგრძელებს საარბიტრაჟო განხილვას და გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება.

45.2. საარბიტრაჟო პრეტენზიის გამოხმობასთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის დროს დაფიქსირებული აზრი შეიტანება საარბიტრაჟო განხილვის ოქმში, რაც უთანაბრდება გამოხმობაზე თანხმობის, ან უარის წერილობით ფორმას.

45.3. ამ მხულით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია დაუბრუნოს საარბიტრაჟო მოსარჩელეს მის მიერ გადახდილის საარბიტრაჟო მოსაკრებლის 50%.
(*დამატებულია 17.02.2016*)

თავი VII დასკვნითი დებულებები

მუხლი 46. საარბიტრაჟო რეგლამენტის ძალაში შესვლა (*შეტანილია ცვლილებები 18.01.2010 წ.*)

46.1. საარბიტრაჟო რეგლამენტი ძალაშია საარბიტრაჟო ინსტიტუტის პარტნიორთა კრების ოქმით/ პარტნიორის გადაწყვეტილებით მისი დატკიცებისა და “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით მისი საჯარო გამოქვეყნების შემდეგ. (*შეტანილია ცვლილება 18.01.2010 წ.*)

46.2. საარბიტრაჟო რეგლამენტის რომელიმე დებულების გაუქმება ან მისი ბათილად ცნობა არ

ინვეს მთელი რეგლამენტის გაუქმებას, ან მის ბათილად ცნობას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბათილი ან გაუქმებული ნაწილის გარეშე ამ რეგლამენტის შესაბამისად დავის განხილვა და გადაწყვეტა შეუძლებელია.

მუხლი 46¹. ეთიკა

თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი აღიარებს და უერთდება საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ეთიკის კოდექსს და ამ კოდექსის რეგულაციები სრულად ვრცელდება თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის არბიტრებზე.

მუხლი 47. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები

47.1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს წარმოადგენს საარბიტრაჟო მოსაკრებელი, წარმომადგენლის ხარჯები, მტკიცებულებათა მოპოვებისა და არბიტრაჟში წარმოდგენისათვის გაღებული ხარჯები.

47.2. საარბიტრაჟო მოსაკრებელი გადაიხდება:

ა) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

ბ) საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის განცხადებაზე;

გ) საჩივარზე, რომლითაც საჩივრდება არბიტრაჟის დადგენილება საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ.

47.3. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება ამ რეგლამენტის დანართი N1-ის მიხედვით, რომელიც მტკიცდება საარბიტრაჟო ინსტიტუტის პარტნიორთა კრების ოქმით/პარტნიორის გადაწყვეტილებით და წარმოადგენს ამ რეგლამენტის განუყოფელ ნაწილს.

47.4. თუ ამ რეგლამენტით გათვალისწინებულია რეგლამენტის ტექსტის გაგზავნა მხარისათვის, მას ასევე უნდა გაეგზავნოს რეგლამენტის დანართი N1.

მუხლი 48. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმებისა და ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის შედეგები (დამატებულია 28.10.2010 წ.)

48.1 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება ან მის ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმა არ აუქმებს იმ საარბიტრაჟო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც არის მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

48.2 სასამართლო განჩინების/გადაწყვეტილების გათვალისწინებით, საარბიტრაჟო ინსტიტუტი უფლებამოსილია განაახლოს საარბიტრაჟო განხილვა და გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება.

48.3 საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია ახალი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანისას

გაითვალისწინოს და აღმოფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების, ან მასზე უარის თქმის საფუძველი გახდა.

48.4 ამ მუხლის შესაბამისად საარბიტრაჟო განხილვის განახლების შემთხვევაში მხარეთა მიერ შეთანხმებული ან ამ რეგლამენტით განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის ვადა აითვლება თავიდან.

შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ რეგლამენტის

დანართი N1

მუხლი 1. დანართის იურიდიული ძალა

1.1. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ (შემდგომში: საარბიტრაჟო ინსტიტუტი) მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტისათვის დანესებული საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის წესი და ოდენობა დგინდება ამ დანართით, რომელიც წარმოადგენს საარბიტრაჟო ინსტიტუტის რეგლამენტის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად.

1.2. წინამდებარე დანართი საარბიტრაჟო რეგლამენტთან ერთად მტკიცდება საარბიტრაჟო ინსტიტუტის პარტნიორთა კრების ოქმით/პარტნიორის გადაწყვეტილებით.

1.3. თუ საარბიტრაჟო რეგლამენტით გათვალისწინებულია რეგლამენტის ტექსტის გაგზავნა მხარისათვის, მას ასევე უნდა გაეგზავნოს რეგლამენტის დანართი N1.

მუხლი 2. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა (შეტანილია ცვლილებები 18.10.2023 წ.)

2.1. საარბიტრაჟო მოსაკრებელი საარბიტრაჟო პრეტენზიისათვის განისაზღვრება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

დავის საგნის ღირებულება ლარებში	საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა ლარებში
0-10 000 (ზეპირი მოსმენის გარეშე)	220 ლარი
0-100 000	2%, მაგრამ არანაკლებ 250 ლარისა
100 001-500 000	1,8%
500 001- დან	1.5 % მაგრამ არა უმეტეს 30,000 ლარისა.

2.2. თუ დავის საგნის ფულადი ღირებულების შეფასება შეუძლებელია ან რთულია, საარბიტრაჟო მოსაკრებელი შეადგენს 3000 ლარს.

2.3. საარბიტრაჟო მოსაკრებელი საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის განცხადების წარდგენისათვის შეადგენს 150 ლარს.

2.4. საარბიტრაჟო მოსაკრებელი საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ არბიტრაჟის დადგენილების გასაჩივრებისას შეადგენს 150 ლარს.

2.4.¹ საარბიტრაჟო მოსაკრებელი მედიაციისათვის საარბიტრაჟო განხილვაში განისაზღვრება დავის საგნის ღირებულების 1%-ით, მაგრამ არანაკლებ 250 ლარისა. მედიაციის შედეგად მოლაპარაკების მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო მოსაკრებელი უნდა შეივსოს ამ რეგლამენტის დანართი N1-ის 2.1 პუნქტით განსაზღვრულ ოდენობამდე.

2.5. მხარის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი მოიცავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს (დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით).

2.6. ამ რეგლამენტის 2.5 მუხლით გათვალისწინებული დათქმა გავრცელდეს შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ დაფუძნების მომენტიდან მხარის მიერ გადახდილ ყველა საარბიტრაჟო მოსაკრებელზე.

2.7. ამ რეგლამენტის 2.5 მუხლით გათვალისწინებული დათქმა ვრცელდება ამ ცვლილების შეტანის მომენტიდან განხორციელებულ ყველა გადახდაზე.

მუხლი 3. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისა და მისი უკან დაბრუნების წესი

3.1. საარბიტრაჟო მოსაკრებელი გადაიხდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით და ჩაირიცხება საარბიტრაჟო ინსტიტუტის ერთერთ ანგარიშზე. საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს მხარეს ანგარიშის რეკვიზიტები მისთვის მისაღები ფორმით.

3.2. თუ საარბიტრაჟო რეგლამენტის თანახმად მხარის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი ექვემდებარება დაბრუნებას, საარბიტრაჟო ინსტიტუტი ვალდებულია დააბრუნოს იგი დაბრუნების შესახებ გადანყვეტილების მიღებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში. დასაბრუნებელი მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საარბიტრაჟო რეგლამენტით.

3.3. საარბიტრაჟო მოსაკრებლის დაბრუნება ხდება მხარის იმ ანგარიშზე, რომელიც ცნობილია საარბიტრაჟო ინსტიტუტისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე წერილობით მოითხოვს თანხის სხვა ანგარიშზე ჩარიცხვას და მიუთითებს შესაბამისი ანგარიშის რეკვიზიტებს.